„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი



# ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * დეკემბერი. 2022 * (9)85

## გილოცავთ დამდეგ 2023 წელს, ასპინძელებო!



ძვირფასო ასპინძელებო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

2023 წელი მშვიდობის, ჯანმრთელობის, სიკეთის, ხვავის, ბარაქის, წინსვლისა და წარმატების მომტანი წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანისათვის, თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის.

მშვიდობა სუფევდეს თითოეული თქვენგანის გულში.

ახალი 2023 წელი ყოფილიყოს სიხარულის, სიყვარულის, ბედნიერების მომტანი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის!

პატივისცემით,
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი
როსტომ მაგრაქველიძე



ძვირფასო თანამემამულენო,

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბარაქას, სითბოსა და სიყვარულს!

ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს. ვისურვებდი, ამ წელს გაემართლებინოს თქვენი ყოველი მოლოდინი და მოეტანოს თქვენთვის ჯანმრთელობა, წარმატება, ბედნიერება და სულიერი სიმშვიდე.

მიმდინარე წელი, ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის. განხორციელდა არა ერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც გაგრძელდება. დარწმუნებული ვარ, ერთიანობითა და თანამშრომლობით შევძლებთ 2023 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის კიდევ უფრო მეტად საქმიანი და წარმატებული იყოს.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

კეთილი სურვილებით, სიყვარულით და პატივისცემით,

ბესიკ ბერიძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

## ამერიკის ელჩი საქართველოში სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ეწვია

ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კელი დეგნანი სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ესტუმრა და ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას ეწვია, სადაც სახელმწიფო რწმუნებულმა **ბესიკ ამირანაშვილმა** უმასპინძლა.

შეხვედრას ესწრებოდნენ რწმუნებულის მოადგილე **შოთა როსტიაშვილი,** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი **ირაკლი ლაზარაშვილი** და სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურის პასუხისმგებელი მუშაკები.

შეხვედრაზე ელჩს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გააცნეს. აგრეთვე საუბარი შეეხო მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს. ხაზგასმით აღინიშნა ის პროექტები, რომელიც რეგიონში ხორციელდება ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, რისთვისაც მასპინძელმა მხარემ მადლიერება გამოხატა ამერიკელი ხალხისა და მთავრობის მიმართ.



ამერიკის შეერთვებული შტატების ელჩი ვიზიტის ფარგლებში ასევე გაეცნო ახალციხის ზონალურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში მის სამუშაო პროცესს და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შესაძლებლობებს. მხარეებმა შეაჯამეს ის სამუშაოები, რომელსაც რეგიონში სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო ლაბორატორია ახორციელებს. ასევე აღინიშნა სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობაზე.

კელი დეგნანმა ლაბორატორიაში გამართულ შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ჩართულობაზე პანდემიის კვლევასა და ტესტირებაში, ამასთანავე ისაუბრა მის როლზე ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების აღმოჩენისა და დისგნოსტიკის მიმართულებაზე.

## მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის და შეფასების თაობაზე;
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ 2022 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების თაობაზე;
3. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის № გ-121.121222803 განკარგულებაში „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ,“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
4. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;
5. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (სოფელ ოშორაში მდებარე) უძრავი ქონების გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
6. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (სოფელ ძველში მდებარე) უძრავი ქონების გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
7. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (სოფელ ჭობარეთში მდებარე) უძრავი ქონების გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დეპუტატებს 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში წარუდგინა, მან ასპინძის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებზე დეტალურად ისაუბრა და მიღწეული შედეგები შეაჯამა.

„– ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ხალხია. გადაწყვეტილების მიღების დროს სწორედ მოსახლეობის აზრია უმნიშვნელოვანესი. მერიის თითოეული ნაბიჯი შესაბამისობაშია მოსახლეობის ინტერესებთან. მუნიციპალიტეტის მერია მიმართავს ყველა ძალისხმევას, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს, თუ რას აკეთებს იგი, რა პროექტები იგეგმება და ხორციელდება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მერია აწყობს შეხვედრებს მოსახლეობასთან. ჩვენ მივდივართ ყველა სოფელში, დაბის ყველა ქუჩაზე, რათა მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრების დროს უკეთ გავიგოთ მათთვის პრიორიტეტული საკითხები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სწორედ მოსახლეობის მიერ გამოთქმულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით იგეგმება“ – განაცხადა მუნიციპალიტრტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ.

მისივე განცხადებით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში



არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მუნიციპალიტეტში პირობების გაუმჯობესების კუთხით.

დეპუტატების წინაშე ასევე ანგარიშით წარსდგნენ საკრებულოს თანამდებობის პირები.

სხდომაზე დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს გაეცა ამომწურავი პასუხები.

ასპინძის მუნიციპალიტეტის პირველი პირების საქმიანობა ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატების მიერ დადებითად შეფასდა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ანა ტივაძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების თაობაზე (N89-დან N115-ის ჩათვლით);
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ბიუჯეტის პროგრამული კოდის: 02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის გაცნობის შესახებ.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ერთხმად დაამტკიცეს, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ბერიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

***

24 ნოემბერს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წელის ბიუჯეტის პროექტის და 2023- 2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ;
3. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის №გ-121.121213379 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

დეპუტატებმა საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

ამასთან განხილული იქნა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და განხილვის შემდეგ შენიშვნებითა და რეკომენდაციებით დაუბრუნეს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუნიციპალიტეტის მომავალი წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში ძირითად პრიორიტეტებად ინფრასტრუქტურა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური მიმართულებებია განსაზღვრული.

– საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჯვარიძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რეგისტრაციის შესახებ, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ბერიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მაკა ბერიძე

# სიახლეები მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით

საქართველოს მთავრობის მიზანმიმართული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება რესპუბლიკაში მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. ახლახან მთავრობის კიდევ ერთი ფრიად საჭირო და აუცილებელი ფაქტი დაანონსდა. კერძოდ, ამა წლის პირველი ნოემბრიდან ძალაში შევიდა სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების დიაგნოზთან შეჭირვებული ჯგუფების (DRG) დაფინანსების ახალი მოდელი.

(DRG) სისტემით ავტომატურად გამოითვლება ის სამართლიანი ფასი, რასაც სახელმწიფო მოქალაქეთა ხარისხიანი მკურნალობისთვის გადაიხდის.

ახალი მეთოდის დანერგვის შემდეგ ერთსა და იმავე მომსახურებას ყველა კლინიკაში ერთი ტარიფი ექნება. კლინიკა პაციენტს დამატებით გადასახადს ვეღარ დაუწესებს, როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. მე-6 პალატის ან აყვანილი ექიმის ჰონორარი.

ყველა პაციენტი მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში თანაგადახდის წილი (0-დან 30 წლამდე პაკეტების შესაბამისად) ითვალისწინებს.

(DRG) მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დაფინანსების ფართოდ აპრობირებული და ეფექტური მეთოდია და მისი საშუალებით ხელმისაწვდომია ხარისხიანი მკურნალობა ზედმეტი დანახარჯების გარეშე.

# იდუმალა

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სოფელ იდუმალაში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.



აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ჯავახავტოგზა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 720 000 ლარს შეადგენს.

სამუშაოები ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს.

# სოფლის კლუბი საზეიმოდ გაიხსნა

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ ხერთვისში რეაბილიტირებული კლუბის შენობა გახსნა.

დარბაზში ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება'' - კულტურის ცენტრის მიერ საზეიმო კონცერტი გაიმართა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხერთვისის ახალ კლუბს სრული რეაბილიტაცია-ადაპტირება ჩაუტარდა, დამონტაჟდა თეატრალური სკამები მოეწყო სცენა.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 199 555 ლარი.



# ახალი გზა ასპინძის ციხის მიმდებარედ

ჩვენი გაზეთის თითქმის ყველა ნომერში მკითხველს ვაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით ამა თუ იმ უბანში, სოფელსა თუ დასახლებულ პუნქტში და ვიმედოვნებთ, რომ ანალოგიური ფართომასშტაბიანი სამუშაოები მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება და სრულიად შეიცვლის იერსახეს მუნიციპალიტეტი.

დაბაში ერთ-ერთი შედარებით რთულად განსახორციელებელ პროექტს წარმოადგენდა ე.წ. ციხის უბნიდან გურამიშვილის ქუჩასთან დამაკავშირებელი ჩიხის კეთილმოწყობა იმის გამო, რომ, ფაქტიურად, იგი მხოლოდ საცალფეხო გზას წარმოადგენდა, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით, ჩიხის ორივე მხარე გაფართოვდა (ზოგიერთმა მოსახლემ უყოყმანოდ დათმო მცირე, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანი მიწის გარკვეული ნაწილი) და დროის მცირე მონაკვეთში, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, დაიგო ბეტონის საფარი და გაუვალ ადგილზე ამჟამად შესაძლებელია ავტომანქანების თავისუფალი და უსაფრთხო მოძრაობა. ეს კი დიდი საახალწლო საჩუქარია იმ მოსახლეთათვის, რომლებიც წლებია ამ გზით სარგებლობდნენ.



# ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ თმოგვში დაიწყო საბავშვო ბაღის მშენებლობა



სოფელი თმოგვი ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია ასპინძის მუნიციპალიტეტში, რომელიც თავისი უნიკალურობით, ადგილმდებარეობითა და ისტორიული წარსულით, ყოველთვის იპყრობდა ტურისტებისა და ექსკურსანტების ყურადღებას. იგი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მის გარშემო არაერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლია, რომლებიც ყოველთვის იქცევს მეცნიერ-მკვლევართა ყურადღებას. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო თმოგვის ციხე და წუნდაც კმარა იმისათვის, რომ მომავალში იგი უმნიშვნელოვანეს ტურისტულ ცენტრადაც კი იქცეს, ის ხომ ერთ დროს სამეფო საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა და სამცხეში ანტიკურ ქალაქთა სამეულში შედიოდა.

სწორედ ამიტომ სოფელ თმოგვზე ზრუნვა ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა იყოს, რადგან აქ გადის ასევე ვარძიისაკენ მიმავალა ყველა გზა და ის უნდა იქცეს ქართული სოფლის თანამედროვე სახედ. ეს ასეც რომ არის, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ პერსპექტივაში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც დიდად შეუწყობს ხელს საოჯახო სასტუმროების, სოფლის შიდა თუ მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობას. ერთ-ერთი საინტერესო პროექტი განხორციელდება მომავალ წელს – სოფელში აშენდება სოფელ ძველის ბაგა-ბაღის მსგავსი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელიც მოემსახურება სოფლის პატარების მსგავსად მირაშხანის, ფიის, ნაქალაქევის აღსაზრდელებსაც. როგორც სხვა მშენებარე ობიექტებს, აქაც ხშირად ზედამხედველობას უწევს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია. კერძოდ, ახლახან მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სოფელ თმოგვში მიმდინარე ახალი საბავშვო



ბაღის მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს.

სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობას აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,კ-კომპანია'', რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 831 800 ლარს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში აშენდება ახალი ორსართულიანი საბავშვო ბაღი, რომელიც გათვლილია სამოც აღსაზრდელზე და დაკომპლექტდება შესაბამისი პერსონალით.

პროექტით გათვალისწინებულია ბავშვთა სათამაშო და საძინებელი ოთახების, სველი წერტილების, დარბაზის, პერსონალის, ექიმის ოთახისა და პროდუქტების საწყობის მოწყობა. ასევე ეზოს სრული რეაბილიტაცია.

მეზობელი სოფლების ბავშვთა ტრანსპორტიერებას უზრუნველყობს ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.

აღნიშნული პროექტის სამშენებლო სამუშაოები ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

# სამუშაოები მაღალი ტემპით განახლდა



ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ მუნიციპალიტეტის მერიის დიდი ძალისხმევით ჯერ კიდევ გასულ წელს გადაწყდა დაბა ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც სოლიდური დაფინანსება გამოიყო, შედგა სათანადო პროექტი, გამოცხადდა კანონის შესაბამისად ტენდერი, მაგრამ, სამწუხაროდ, მშენებელმა არათუ განსაზღვრულ ვადებში (სამუშაოების დასრულება გასული წლის ნოემბერამდე იყო განსაზღვრული), არამედ მიმდინარე წლის პირველ ნახევარშიც კი ვერ უზრუნველყო მისი დამთავრება, რომლის თაობაზეც ჩვენი გაზეთიც არაერთხელ იუწყებოდა. მიუხედავად იმისა რომ კომპანიამ დისკვალიფიკაცია მიიღო და ტენდერი ხელმეორედ გამოცხადდა, მშენებლობამაც დიდი ხნით გადაიწია. ერთი კი ცხადია, ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყანაში ბევრია ისეთი კომპანიები, რომლებიც, შეუძლიათ თუ არა, მნიშვნელოვან პროექტებში ღებულობენ მონაწილეობას და შედეგებზე არც კი ფიქრობენ. ასე დაემართა ამ კომპანიასაც, რამაც თვით ისიც დააზარალა და აქაც ძალზე შეაფერხა ჩასატარებელი სამუშაოები.

კარგად უთქვამს ქართველ კაცს: პური მეპურეს გამოაცხობინეო და ტენდერში ახლად გამარჯვებულმა შპს „ალმემ“, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს და ადგილობრივ კომპანიას წარმოადგენს, თითქმის ერთ თვეში იმაზე მეტი სამუშაოები ჩაატარა, ვიდრე მისმა წინამორბედმა კომპანიამ წელწადნახევრის განმავლობაში. სამწუხაროდ წინა მშებებლების მიერ ჩატარებული სამუშაოები უხარისხოდაც ჩატარდა და, როგორც ვიუწყებოდით წინა ინფორმაციებში, მათ მიერ დაზიანებული იქნა ხე მცენარეების ერთი ნაწილიც.

როგორც სამშენებლო კომპანია „ალმეს“ ხელმძღვანელმა ალექსანდრე მელიქიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, თუ ამინდებმა შეუწყო ხელი, წლის ბოლომდე ვარაუდობენ სამუშაოების დიდი ნაწილის შესრულებას და მომავალი წლისთვის შესაძლებელია ვადაზე ადრეც გაუშვან ექსპლოატაციაში დაბის კულტურისა და დასვენების პარკი, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ადგილობრივებისათვის და დაბის ცენტრს უფრო მიმზიდველს გახდის ტურისტებისა და ექსკურსანტებისთვის.

თავის მხრივ მუნიციპალიტეტის მერია ყურადღებას არ აკლებს სამუშაოების მიმდინარეობას, რათა იგი ხარისხიანად ჩატარდეს და განსაზღვრულ ვადებში შევიდეს ექსპლოტაციაში.

აღნიშნულ სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 927 998 ლარს.

# ერკოტისა და ერკოტელი ბერიძეების ისტორია

***სოფელ ერკოტისა და ერკოტელი ბერიძეების წარმოშობის ისტორია ჩავიწერე დაბა ასპინძაში მცხოვრები, სოფელ ერკოტაში დაბადებული, 75 წლის შოთა ერასტის ძე ბერიძისაგან 2022 წლის 29 ოქტომბერს, მან მითხრა, რომ ძველი ამბები მას უამბეს ერკოტაში ცხოვრების პერიოდში მოხუცებმა მისმა მამამ – ერასტი ბესარიონის ძე ბერიძემ, ბიძამ ლევან სანდრეს ძე ბერიძემ, ვასილ ხატიძემ და სხვებმა, მან მითხრა, რომ არ ახსოვს სახელები და არც წლები, უბრალოდ დაამახსოვრდა მხოლოდ ნაამბობის მცირე ნაწილი და იმ ფორმით ჩავიწერე რა ფორმითაც გადმომცა. პირველყოვლისა წარმოგიდგენთ სოფელ ერკოტის დაარსების შესახებ ამბავს:***

## ერკოტა

ძველ დროში ზარზმის მონასტერში შეხიზნულა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც რაღაც დანაშაული ჰქონია ჩადენილი და უნდა მოენანიებინა, იგი, დროთა განმავლობაში, ბერად აღიკვეცა, ასპინძის რაიონში მდებარეობს ნასოფლარი ჭურა, რომლის მიმდებარედ დიდი გაშლილი ველია, სადაც პერიოდულად ტარდებოდა სპორტული შეჯიბრებები, რომელსაც ეწოდებოდა ,,ერის კოტაობა.“ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოდიოდა ხალხი მესხეთის ყველა კუთხიდან, ერთხელ აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ზარზმის მონასტერში შეხიზნულმა ზემოთ მითითებულმა ბერმა, რომელმაც ცხენთა ჯირითში და სპორტის თითქმის ყველა სახეობაში თავი განსაკუთრებით გამოიჩინა, ჭურის დაბლა ასევე არის ნასოფლარი ვარნეთი. იმ დროს იქ ცხოვრობდა ერთი თავადი თუ ბეგი, გადმოცემით, გვარად ყოფილა მახარაძე, ამ კაცს ძალიან მოსწონებია ბერი და მისთვის თავისი გოგო მიუთხოვებია, ასევე გადაუცია დღევანდელი ერკოტის ტერიტორია, რომელიც მაშინ დაუსახლებელი და გაპარტახებული ყოფილა, ამის შემდეგ ბერს შესძენია შვილები და ისინი, ვინაიდან ბერის შვილები იყვნენ, ბერიძეებად დაწერილან, ხოლო სოფლისათვის ,,სახალხო შეჯიბრების – ერის კოტაობიდან“ გამომდინარე, ,,ერკოტა“ უწოდებიათ. ბერიძეებს, თავდაპირველად, ყველას ,,ზანდარიენთ“ უწოდებდნენ, მერე, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა, ე.წ ჯიშებად დაიყვნენ, რომლებსაც დღეს უწოდებენ გიგოლიენთ, სოსანიენთ, ხუშუტიენთ, ალაჯიენთ, ყარათლიენთ, ჩოლაღიენთ და, დღეს მხოლოდ რამდენიმე ოჯახია, რომლებსაც ისევ ზანდარიენთ უძახიან. ერკოტის მოსახლეობა მთლიანად მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, სოფელში არსებობდა (დღესაც არსებობს) ფერისცვალების ეკლესია, რომელიც ძალიან ძლიერი და მდიდარი ეკლესია გამხდარა, ამ ეკლესიაზე ყველას თვალი ჰქონდა დადებული და უნდოდათ გაეძარცვათ და სიმდიდრე მიეთვისებინათ, განსაკთრებით აქტიურობდნენ თურქები და დასავლეთ საქართველოს თავადები. სოფელს დროთა განმავლობაში შეემატნენ ცალქალამანიძეები, ხატიძეები, ტივაძეები, ხოლო თათრების გასახლების შემდეგ, სოფლიდან ყველა დაბა ასპინძაში ჩამოგვასახლეს, ამჟამად ერკოტას ვიყენებთ მთად.

## სოფელ ერკოტის ფერიცვალების სახელობის ეკლესიის გაძარცვის მცდელობა

აღნიშნული ამბავი შოთა ბერიძეს ბავშობაში უამბო სოფელ ერკოტის მკვიდრმა ბასიკო ბიძამ (ვასილ ხატიძემ), ძველ დროში, არც წელი ახსოვს და არც საუკუნე, სოფელ ერკოტას, ფერიცვალების ეკლესიის გაძარცვის მიზნით, რამდენჯერმე თავს დაესხნენ თურქები, მაგრამ სოფელმა შესძლო მათი მოგერიება, იმ დროს სოფლის თავკაცი ყოფილა სახელად ,,კუჭო.“ ერთ დღესაც, სოფლიდან მოშორებით, გაისმა თოფის სროლის ხმა, ერკოტელებმა დაინახეს, რომ სოფელს, ასპინძიდან მომავალ გზაზე, ცხენით უახლოვდებოდა ერთი ცხენოსანი, რომელიც სოფლის მიმართულებით ისროდა თოფს. სოფლის თავკაცმა თქვა, რომ ეგ კაცი ყურადღების მისაქცევად ისვრის, სავარაუდოდ, ისევ თათრები არიან და აუცილებლად ტყის მხრიდან შემოვლენ სოფელშიო, თან ხალხი დაარიგა – თქვენ სოფლის დასაცავად ტყის მხრიდან ჩასაფრდით და, როგორც კი თათრები გამოჩნდებიან, ესროლეთო, ის კი სწრაფად გაიქცა მომავალი უცხო მხედრის დასახვედრად და სასაფლაოზე, საფლავის ქვებს შუა ჩაიმალა. მხედარი, როგორც კი მოუახლოვდა სოფლის შემოსასვლელში მდებარე წყაროს, კუჭომ „ვინტოვკიდან“ ესროლა. უცხო მხედარი ცხენიდან გადმოვარდა და გუბეში გაიშხლართა. კუჭო მაშინვე მივიდა მასთან და გადაწყვიტა საკონტროლო გასროლა გაეკეთებინა, თან თათრულად აგინებდა. მხედარმა დასავლეთის ქართული კილოთი უთხრა: – ე ბიჭო, არ მესროლო, ქართველი ვარ, მტრად კი არა, მოყვრად მოვდიოდი. კუჭო ქართული ლაპარაკის მოსმენისთანავე წუთიერად შეყოვნდა, ამით ისარგებლა მხედარმა და ელვის სისწრაფით მოახტა თავის ცხენს, რომელიც მას გვერდიდან არ შორდებოდა და უკანვე გაიქცა. კუჭომ აღარ ესროლა და სოფელში დაბრუნდა. ცოტა ხანში, ტყის მხარეს ატყდა სროლა, რომელმაც კარგა ხანს გასტანა და ბოლოს შეწყდა. მომხვდურები გაიქცნენ და სოფელი კიდევ ერთხელ გადარჩა გაძარცვას, ხალხმა კი ვერ გაარკვია, ვინ იყვნენ თავდმსხმელები, რადგან მათ კვალი არ დაუტოვებიათ. ამის შემდეგ გავიდა კარგა ხანი, სოფელს შემოესია თურქების დიდი ჯარი, გაძარცვეს და დაარბიეს, მოსახლეობას ლუკმა პურიც კი არ დაუტოვეს, ისე გაძარცვეს, თან ეკლესიის განძიც გაიყოლეს. სოფელში შიმშილობამ დაისადგურა. ხალხი მათხოვრად გადაიქცა, ვინაიდან მესხეთში სამათხოვრო აღარაფერი იყო, ამიტომ ადგილობრივმა მოსახლეობამ დახმარების სათხოვნელად დასავლეთ საქართველოს მიაშურა, სადაც ზოგი მათხოვრობით ირჩენდა თავს, ზოგი – მოჯამაგირეობით და გასამრჯელოდ ძირითადად სიმინდის მარცვალს ღებულობდნენ და ოჯახებს ამით კვებავდნენ. სოფლის თავკაცი კუჭო და თავისი ძმაც წავიდნენ სამათხოვროდ გურიაში, სადაც ერთ-ერთ სოფელში შემოაღამდათ და ერთ დიდ სახლს



მიადგნენ. ამ დროს მეჯინიბე ცხენებს უვლიდა და მას სთხოვეს, – იქნებ თავლაში ღამე გაგვათენებინეო. მეჯინიბე შეეკითხა, საიდან ხართო. ამათ უპასუხეს – მესხეთიდანო. მეჯინიბემ უთხრა, – მე კი ღამეს გაგათენებინებთ, მაგრამ ამ სახლის პატრონმა თუ დაგინახათ და გკითხათ, არ უთხრათ, რომ მესხეთიდან ხართ, თორემ თქვენი საქმე ცუდად წავაო. მერე ისევ შეეკითხა, რომელი სოფლიდან ხართო. მათ უპასუხეს – ერკოტიდანო, მეჯინიბემ – ვაი თქვე უბედურებო, თუ ეგ გაიგო, ჩათვალეთ, რომ ცოცხალს არ გაგიშვებთ, ახლავე წადით აქედან. სახლის პატრონი ზედა სართულიდან ისმენს თურმე ამათ ლაპარაკს და სასწრაფოდ ჩამოირბინა კიბეები და ხანჯლით მივარდა ერკოტელებს – თქვენი დედა, თქვენი ასე და თქვენი ისეო, უნდა დაგხოცოთო და კუჭოს მიადო ხანჯალი ყელზე, ის იყო უნდა გამოესვა მისთვის, რომ კუჭო გვერდზე გახტა, დაძონძილი ჯიბიდან სწრაფად ამოიღო ნაგანი და საფეთქელზე დაადო სახლის პატრონს, – ახლა ვინ მოკვდეს – შენ თუ არაო! სახლის პატრონმა უთხრა, – მე რომ მომკლათ, აქედან ვერც თქვენ გახვალთ ცოცხლები, მაგრამ, გეტყობათ, მაგარი ბიჭები ხართ და ასეთ დღეში ალბათ, რაიმე უბედურების გამო წამოსულხართ, მოდი, სახლში შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთო. ერკოტელები თავიანთ გაჭირვებას მოუყვნენ, ხოლო სახლის პატრონმა კი უთხრა, თუ რატომ სძულდა ერკოტა. აღმოჩნდა, რომ სახლის პატრონი იყო თავადი და ხშირად დადიოდა სათარეშოდ მესხეთში. მან ისიც უთხრა, ნიშანი მივიღე, რომ ერკოტის ეკლესიაში ინახებოდა დიდძალი განძი, წავიყვანე ჩემი ხალხი განძის წამოსაღებად, ხალხი ტყეში ჩავასაფრე, მე სოფელს მეორე მხრიდან შემოვუარე და თოფის სროლით სოფლისკენ წავედი, ამით მინდოდა ხალხს ყურადღება ჩემსკენ გადმოეტანა და ჩემი ხალხი ზურგიდან შევიდოდა სოფელში და წინაალმდეგობას ვეღარ გაგვიწევდნენ, მაგრამ ვიღაცა ოხერმა მესროლა და ტყვია პატრონტაშის გადაჯვარედინებულ ადგილის შუაგულში მოხვდა და ტყიამ თუმცა ვერ გაუარა, მაგრამ ვაზნები აფეთქდა და შიშისაგან, ჩემდაუნებურად, ცხენიდან ჩამოვარდი, იმ სოფლელმა რატომღაც შემიცოდა და მეტი აღარ უსროლია, ამით ჩემი თავმოყვარეობა შეილახა და ამიტომაც მძულს ეგ სოფელი. მერე, როცა გაირკვა, რომ მისთვის კუჭოს უსროლია, ბოლოს შერიგდნენ. თავადმა ორივეს თითო ცხენი აჩუქა, ცხენებზე აჰკიდეს იმდენი სიმინდის მარცვალი, რამდენის ტარებასაც შეძლებდნენ და ისე გამოისტუმრა, როგორც მეგობრები.

## გაქცევები

გაქცევებზე მომიყვა მამაჩემი ერასტი ბესარიონის ძე ბერიძე. ის მიამბობდა, რომ გაქცევების დროს 13 წლისა ვიყავი, დედაჩემი ქუნცელი ქალი იყო და, ერთხელ მამაჩემი ცოლეულებში წავიდა რაღაც საქმეზე, იმ დროს ახალად ირეოდა ქვეყანა. სოფელ აწყვიტის სასაფლაოს რომ მიუახლოვდა, თურმე აწყვიტელ თათრებს უთქვამთ, – აბა, ამ კაცამდე თუ მიაღწევს „ვინტოვკაო“ და უსვრიათ. მამაჩემი სასაფლაოსთან მოუკლიათ და იქვე დაუმარხიათ. იმ დროს ჩემი ერთი ბიძა ავსტრიაში ტყვედ ყოფილა, როცა დაბრუნებულა, თათრები შეხვედრიან და უთქვიათ, – შინელი გაიხადე და მოგვეციო. ბიძაჩემი უარზე დამდგარა, ამის გამო თათრებს ბიძაჩემი მოუკლავთ. ერთ ღამესაც ჩემმა მეორე ბიძამ სანდრე ბერიძემ სასწრაფოდ დაგვატვირთინა ერთ ურემზე ლოგინები, საჭმელი და ცოტ-ცოტა კიდევ რაღაცები და მთელი ოჯახი წამოვედით სოფლიდან. მე და ჩემი ბიძაშვილი ლევანი ურემზე შეგვსვეს, დიდები კი ფეხით წამოვიდნენ. ურემში შებმული გვყავდა ერთი ჩვეულებრივი, ხოლო მეორე ბულა ხარი, ანუ დაუკოდავი ხარი. ურემს წინ ბიძაჩემი მიუძღვოდა, უკან დანარჩენები მოგვყვებოდნენ. ჩვენთან ერთად ასევე აიყარა მთელი სოფელი და ისინიც ურმებით, ცხენებით და ფეხით გამოგვყვნენ, როცა მივაღწიეთ მდინარე მტკვარს და შევედით შუაგულამდე, მდინარის გაღმიდან, იქ, სადაც ქარვასლა და ხიზაბავრის გზა იწყებოდა, გადმოდგა ცხენზე ამხედრებული თათარი, რომელიც მითითებებს აძლევდა მასთან მყოფ თათრებს. ბიძაჩემმა დამიძახა, – ერასტი, სასწრაფოდ ჩაწექით ურემში და თავზე ლოგინები დაიფარეთო. თვითონ კი ხარებს ამოეფარა, დანარჩენები – ურემს. უცებ გაღმიდან დაგვიწყეს თოფის სროლა და ხარი მოგვიკლეს. მიუხედავად იმისა, რომ ბულა ხარსაც თავში მოხვდა ოთხი ტყვია, ის ვერ მოკლეს. გამწარებულმა ბულა ხარმა აითრია მკვდარი ხარი, ურემი და წაგვათრია თათრების მიმართულებით. ურემს მაშინვე შემოესია თათრის ხუჟანი და იტაცებდნენ ბალიშებს, საბნებს, ტაფებს, ქვაბებს და ყველაფერს, რაც ურემზე ელაგა. მე და ჩემი ბიძაშვილი ლევანი კი ლოგინებს მე-



ორე მხრიდან ვითრევდით და არ ვაძლევდი იმის საშუალებას, რომ ხუჟანებს რამე წაეღოთ. სანდრე ბიძამ დაგვიყვირა, – ერასტი, ხელი გაუშვით, დაე, წაიღონ, თორემ დაგვხოცავენ. ჩვენ ვტიროდით და ლოგინებს ხელს მაინც არ ვუშვებდით. უცებ, მდინარის გაღმა მდგომ თათრებს უკანა მხრიდან ვიღაცეებმა სროლა დაუწყეს, ამხედრებული თათარი ცხენიდან ჩამოვარდა, მერე უკვე მდინარეში მყოფ თათრებსაც დაუწყეს სროლა. ხუჟანი დაფრთხა, ზოგი წყალმა წაიღო, ზოგი ტოლოშისკენ გაიქცა, ბულა ხარმა ნაპირთან მიგვათრია. იმ მხრიდან მოვიდნენ ქართველები და მდინარის მეორე მხარეზე გაგვიყვანეს. აღმოჩნდა, რომ საროში იდგა ქართული ჯარი, რომლის მეთაური იყო მაიორი, რომელმაც შეგვნიშნა, განსაცდელში რომ ვიყავით და სასწრაფოდ გამოეგზავნა სარველებთან ერთად ჯარისკაცები, რომლებმაც სასწაულად მოგვისწრეს. ცხენოსანი თათრისთვის სარველ დემეტრე გიორგაძეს უსროლია და მოუკლავს, რაზეც ყველა აქებდა – ამხელა მანძილიდან რომ აგეცილებინა, ამათ რა ეშველებოდაო. წაგვიყვანეს საროში, მოკლული ხარი ჯარისკაცებს გადასცეს, ჩვენ სხვა ხარი მოგვცეს. საროს გარშემო სანგრები გაეთხარათ, სადაც ჯარისკაცები იყვნენ ჩასაფრებულები. მისვლისთანავე 10 დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები /ბიჭები/ გამოგვარჩიეს და ერთ სერჟანტს ჩაგვაბარეს, დიდები კი სანგრებში გაუშვეს – ხვალ ომი იქნება და იქ იყვნენო, ძირითადად სარველები და ხიზაბავრელები. იმავე ღამეს შეიარაღებული ჯავახელი ქართველები მოვიდნენ, მგონი კოთელიელები, ბარალეთელები, ბალანთელები იყვნენ. ვინაიდან სახელი ერასტი მარტო მე მერქვა, სერჟანტმა მარტო ჩემი სახელი დაიმახსოვრა, დილაადრიან ომი დაიწყო. თათრებმა ზედაველისა და ხერთვისის მხრიდან დაიწყეს სროლა. სერჟანტმა ბავშვები დაგვამწკრივა და გვითხრა, რომ ტყვია-წამალი უნდა მიგვეტანა სანგრებში, პატარებს მისცეს 10-10 კილო ტყვია-წამალი, დიდებს – 15 კილომდე. ჩვენ ხევი უნდა გაგვერბინა და მაღლა სანგრებამდე მისულიყავით და ტყვია-წამალი მიგვეტანა, მერე ისევ გამოვქცეულიყავით და ასე გაგვეგრძელებინა მათი მომარაგება. არ ვიცი, რამდენჯერ გავირბინეთ და გამოვირბინეთ ხევი, დაღლას ვერავინ ვგრძობდით და, რატომღაც, არც კი გვეშინოდა. მოიტანეს ოთხი „პულიმიოტი“ და ორი „არუდია“, დადგეს ქარაფებთან და მისცეს ზალპი. თათრებს ზედაველის მხრიდან სროლა დაუწყეს გოკიოს, ვარევნისა და აზავრეთის ქართველებმა, მათ შორის მცირე რაოდენობით ჯავახელებთამ ერთად სომხებიც იყვნენ. თათრები გაიქცნენ და ქართველებიც სროლით უკან გაჰყვნენ. მოულოდნელად მაიორი მოკლეს, მაგრამ, ფაქტიურად, მისი სიკვდილი, თითქმის არავის გაუგია, შინელებით შეკრული საკაცით მოასვენეს მაიორი საროში. იქ სადაც ის მოკლეს, ის ადგილი ზედაველის მხარეზეა და ამ მინდორს სარველები დღესაც „მაიორას“ უწოდებენ. სერჟანტმა თითო ბავშვს ისევ აგვკიდა ჩვენი კუთვნილი ტყვია-წამალი და გვითხრა, რომ „ურას!“ და „ვაშას!“ ძახილით ჩვენ ჯარს უკან გავყოლოდით, ოღონდ ძალიან ახლოს არ მიჰყვეთო. თათრებს ეგონებთ, რომ თქვენც მეომრები ხართო. ჩვენც ყვირილით მივრბოდით, წინ კი სერჟანტი მიგვიძღოდა. ხევიდან ავედით, გადავიარეთ სანგრები და წავედით ხერთვისისკენ, გზადაგზა თავზე ვახტებოდით მკვდარ თათრებს, ხან წავიქცეოდით და ზედ ვეცემოდით, ვდგებოდით და ისევ გავრბოდით. ძალიან ბევრი თათარი გვხვდებოდა დახოცილები „სნარიადებით“ და „პულიმიოტის“ ტყვიებით დაფლეთილები, ზოგი ისევ ცოცხალი იყო. გადავდექით ხერთვისის თავზე, ნელ- ნელა დაბლა დავეშვით და მდინარის გამოღმა მხარეს, ახალქალაქისკენ მიმავალი გზის პირას, სადაც ხერთვისელი ბეგების სახლებია, ჩვენი ჯარი უკვე იქ იყო ციხისა და სოფლის მიმართულებით ისროდნენ. სერჟანტმა ბავშვები ბუხრებისა და ერდოების უკან დაგვმალა, ტყვია-წამალი კი ჯარისკაცებთან ჩვენგან თვითონ სერჟანტს მიჰქონდა. თათრების ნაწილი ხერთვისის ციხეში შევიდა და იქიდან დაგვიწყეს სროლა, ორი ჯარისკაცი მოგვიკლეს. მეთაურმა ჯარს უბრძანა, ქვებსა და სახლებს ამოფარებოდნენ და დაწოლილიყვნენ. მერე მოატანინეს „არუდია,“ ქარაფზე დაადგმევინეს და ციხეს ესროლეს, ნაღმმა ციხის კედელი გაგლიჯა და მსროლელი თათრები მეორე მხარეს გაისროლა, ციხის კედლის ნანგრევებთან ერთად, ისევ დაუშინეს ქართველებმა „პულიმიოტები“ და ნაღმები. თათრებმა ციხე დატოვეს და სოფელში ჩაიმალნენ, სოფელს ზედამხრიდან ჯავახელებმა დაუწყეს სროლა, ბოლოს თათრებმა მდინარე გადაცურეს და ზოგი ტოლოშისკენ გაიქცა, ზოგი პირდაპირ გელსუნდისკენ, ზოგიც – ვარძიისკენ დაიფანტნენ, მეთაურმა უკან დაბრუნების ბრძანება გასცა და ქართველებმაც ნელ-ნელა დაიწყეს საროსკენ სვლა, სერჟანტმა ბავშვებს ბეგების ქათმები დაგვაჭერინა, ყველა ქათამს ფეხები გაუკრა და თითო ბავშვს თითო ქათამი მოგვცა, მე მამალი მერგო წილად და ერთ პატარა ქოთნით ერბო, თან მითხრა, თქვენ საროში აღარ დარჩებით და გზაში დაგჭირდებათო. უკან დაბრუნებისას, გზადაგზა ისევ მკვდრებს ვხვდებოდით და ნელ-ნელა შიშმაც ამიტანა. იმ დღეების ყოველი წუთი მახსოვს, აგერ დავბერდი, ბევრი რამე დამავიწყდა და ის დრო არ დამვიწყებია, იმეორებდა მამაჩემი. ბოლოს მივედით საროში, ხალხი გახარებული იყო, მაგრამ მეთაურები დაღვრემილები იყვნენ და ხმას არ იღებდნენ, მარტო იმას ამბობდნენ, ბევრი თათარი დაიხოცა და ცოტა თუ გადარჩა ცოცხალიო, ჩვენი მხრიდან დანაკარგზე არავინ არაფერს ამბობდა. ღამე აღარ დამეძინა, კანკალმა ამიტანა, სიცხე მომცა და ბოლოს გონება დავკარგე, როცა აზრზე მოვედი, სოფელ ტაბაწყურთან ვიყავით უკვე დაბანაკებულები, დედამ ტირილი დაიწყო ჩემი ერასტია გადარჩა, ეტყობა, როცა თათრების მხრიდან საშიშროებამ გაიარა და გავაცნობიერე რაც მოხდა, ამდენი მკვდარისა და დასახიჩრებული ხალხის ნახვამ და ამდენმა უბედურებამ, თავისი ქნა და ემოციებისაგან გავხდი ცუდად, ტაბაწყურში ყოფნის დროს მიტარბელი ოსები დაგვეცნენ თავს, ყველაფერი წაგვართვეს და დავრჩით მშიერები, იქიდანაც ავიყარენით და ბაკურიანის ტყეებს შევაფარეთ თავი, დიდი კაცები მოჯამაგირეებად უდგებოდნენ ბორჯომელებს, ქალები და ბავშვები ვმათხოვრობდით. ასე გავიდა ორი წელი, ბოლოს მოვიდა ამბავი, რომ უკან ბრუნდებითო და წაგვიყვანეს აწყურისკენ, სოფელ ზოვრეთთან დავბანაკდით, გაჩნდა ეპიდემია და 20 ერკოტელი გარდაიცვალა, ყველა ერთად დაასაფლავეს. ბოლოს, როგორც იქნა, ერკოტაში დავბრუნდით, ჩვენი სახლი მთლიანად გაძარცვული დაგვხვდა, დავრჩით მშიერები, შიმშილისაგან რომ არ დავხოცილიყავით, სანდრე ბიძამ წაგვიყვანა სოფელ წაღვერში და ერთ გელაშვილს მიგვაბარა მოჯამაგირედ. სანდრე ბიძას ერთი წლის ჯამაგირი წინასწარ მისცეს და ისიც

გაგრძელება გვ 4

**სპორტი**

# სასკოლო ოლიმპიადა – 2022



19 ოქტომბერს, ასპინძის მუნიციპალიტეტში სტარტი აიღო საქართველოს ,,სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2022" -ის მუნიციპალურმა თამაშებმა.

ასპინძაში მუნიციპალური თამაშები გაიმართა 3 სპორტულ სახეობაში, კერძოდ: გეზრბენში, მინი-ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გოგონებისა და ვაჟების გუნდები.



სპორტული ოლიმპიადის აღნიშნულ სახეობებში გამოვლინდნენ მუნიციპალური თამაშების გამარჯვებული გუნდები.

**19 ოქტომბერი – გეზრბენში**

ვაჟებში:

I ადგილი მოიპოვა ტოლოშის საჯარო სკოლამ და მუნიციპალური თამაშების გამარჯვებული გახდა;

II ადგილი – ნაქალაქევის საჯარო სკოლამ;

III ადგილი – რუსთავის საჯარო სკოლამ.

*გოგონებში:*

I ადგილი მოიპოვა ტოლოშის საჯარო სკოლამ და მუნიციპალური თამაშების გამარჯვებული გახდა;

II ადგილი – ასპინძის საჯარო სკოლამ;

III ადგილი – ნაქალაქევის საჯარო სკოლამ.

**29 ოქტომბერი მინი-ფეხბურთში**

*ვაჟებში:*

I ადგილი მოიპოვა ოშორის საჯარო სკოლამ და მუნიციპალური თამაშების გამარჯვებული გახდა;

II ადგილი – ასპინძის საჯარო სკოლამ;

III ადგილი – ნიჯგორის საჯარო სკოლამ.

*გოგონებში:*

I ადგილი მოიპოვა ასპინძის საჯარო სკოლამ და მუნიციპალური თამაშების გამარჯვებული გახდა;

II ადგილი – ივერიის საჯარო სკოლამ;

III ადგილი – ოთის საჯარო სკოლამ.

**12 ნოემბერი - მაგიდის ჩოგბურთში**

*ვაჟებში:*

I ადგილი მოიპოვა აწყვიტის საჯარო სკოლამ და მუნიციპალური თამაშების გამარჯვებული გახდა;

II ადგილი – ნიჯგორის საჯარო სკოლამ;

III ადგილი – დამალის საჯარო სკოლამ.

თითოეული მონაწილე გუნდი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისგან მედლებით და თასებით დაჯილდოვდნენ.



თამაშების გამარჯვებული გუნდები 2023 წლის გაზაფხულზე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ თამაშებში.

მუნიციპალურ თამაშებს ორგანიზებას უწევდა მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური.





ასევე ქ. ახალციხეში ჩატარდა ახალციხის საერთაშორისო პირველობა მძლეოსნობაში ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, რომელსიც ასპინძის სასპოტო გაერთიანების მძლეოსანმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა და საპრიზო ადგილები დაიკავეს.

I საპრიზო ადგილი – 1500 მ-ზე რბენაში მოიპოვა **ანა დავლაშერიძემ;**

I საპრიზო ადგილი 300 მ-ზე რბენაში – **მათე ხმალაძემ;**

II ადგილი 300 მ-ზე რბენაში – **ქრისტინე დავლაშერიძემ;**

III ადგილი 300 მ-ზე რბენაში – **მაგდა ხმალაძემ.**

პაატა ქავთარაძე

# ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში

**„სასკოლო სპორტული ოლიმპიადის" ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში მუნიციპალური თამაშები გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში.**

**აღნიშნულ ოლიმპიადაში მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ვაჟთა გუნდები.**

**ჩოგბურთის ტურნირზე პირველი ადგილი მოიპოვა აწყვიტის საჯარო სკოლამ, მეორე ადგილი – სოფელ ნიჯგორისა და მესამე ადგილი – დამალის საჯარო სკოლამ.**

**მონაწილეები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისგან დაჯილდოვდნენ მედლებით და თასებით.**

**ტურნირზე გამარჯვებული მოსწავლეები მუნიციპალიტეტის სახელით რეგიონის პირველობისთვის იბრძოლებენ.**

**მუნიციპალურ თამაშებს ორგანიზება მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.**

# ერკოტისა და ერკოტელი ბერიძეების ისტორია

მე–3 გვერდიდან

წამოვიდა ერკოტაში, რომ ოჯახისათვის მიეხედა, მოჯამაგირეებაში ყოფნის დროს გელაშვილმა გაგვაყოლა ხარები და საქონელი სოფელ მიტარბთან, მთაზე დაგვაბანაკა, თვითონ კი წაღვერში დაბრუნდა. ორნი ვიყავით და ორივეს „ვინტოვკა" მოგვცა, იმ სიგრძე იყო, რომ სიარულის დროს „კონდახს" ძირს ვათრევდი. იმ ღამესვე დათვმა ერთი ხარი შეგვიჭამა, გელაშვილს შევატყობინეთ, ის მოვიდა და დაგვიწყო ყვირილი და ჩხუბი, რომ დაგეძინათ და საქონელი ვერ დაიცავითო. მეორე ღამეს თავს ისევ დაგვესხა დათვი და მეორე ხარიც შეგვიჭამა, გელაშვილი ისევ გვეჩხუბა და თვითონაც თოფით ჩვენთან ერთად დარჩა და მთელი ღამე ვყარაულობდით საქონელს, მაგრამ დათვი ისევ დაგვეცა თავს და ახლა ძროხა შეგვიჭამა. გელაშვილმა ამის შემდეგ აგვყარა და ისევ წაღვერში ჩამოვბარგდით, მოჯამაგირედ ორი წელი ვიყავი. ერთხელაც მან მითხრა, რომ ერკოტაში მივდივართ, ერთმა ერკოტელმა მეგობარმა შვილი დააქორწინა და ქორწილში დამპატიჟაო, წავიყვანეთ ხუთი თხა და წავედით. მე თხები მიმყავდა, გელაშვილი კი ცხენით მომყვებოდა. შებინდებისას შევედით ერკოტაში, გელაშვილი მეძახდა, – ერასტი, აქეთ, აქეთ მოდენე ციკნებიო. ჩემი სახელის გაგონებაზე დედაჩემი წამოსულა და როცა დამინახა – ერასტი, შვილო, მოხვედიო? და გულში ჩამიკრა. ორივენი ვტიროდით, გელაშვილი კი ისევ ყვიროდა – ერასტი, აქეთ მოდენე ციკნებიო! ამ ხმაზე სანდრე ბიძაც გამოვიდა და გვითხრა, სახლში შემოდითო და თვითონაც გელაშვილს მოეხმარა, მერე აღარ გამიშვეს და სახლში დავრჩი.

## თათრების ცხვრის მოტაცება

ამ ამბავს მამიყვა ბასიკო ბიძა (ვასილ ხატიძე). მისი თქმით, იმ დროს საქართველოს ცეკას მდივანი მიხა ცხაკაია იყოო. სოფელ ერკოტის თავზე არის ადგილი, რომელსაც „ახორ ტყეს" უწოდებენ, იქ სოფლის ხარი ძოვდა. ერთ მშვენიერ დღეს სოფელში მოვიდა ხარების მწყემსი და გვითხრა, რომ ხარები თურქეთის თათარმა წაასხაო, რამდენიმე დღეში შევიკრიბეთ ბიჭები, – მე, ვასო ხატიძე, თომა ბერიძე, იოსებ ბერიძე, რომელსაც ზედმეტსახელად ყაჩაღ ოსოს ეძახდნენ, შალვა ბერიძე და ანდრია ტივაძე. სახლიდან ჩუმად გავიპარეთ, ჩვენს გარდა არვინ არ იცოდა თუ რას ვაპირებდით. გადავიარეთ ცხრაკენჭა, ირმის რქა და გადავედით თურქეთში, მაშინ საზღვრები შელობილი არ იყო და თავისუფლად მივდი-მოვდიოდით. პირველივე სოფელს რომ მივადექით, გორაზე დავდექით. დილაადრიანია. სოფლიდან აიშალა ცხვრის ფარა. ცხენოსნებმა ცხვართან მარტო ერთი მწყემსი დატოვეს და თვითონ სოფელში დაბრუნდნენ, ცხვარი ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა, ჩვენმა ორმა კაცმა ფარას ერთი მხრიდან მოუარა, ორმა მეორე მხრიდან, ერთი კი პირდაპირ მწყემსზე წავიდა, დავიჭირეთ მწყემსი, გავხადეთ ნიფხავ-პერანგი და თავისივე ნიფხავით შეუკარით ფეხები და ხელები, პირიც აუკარით, ძირს დავაგდეთ და გამოვრეკეთ ცხვარი. ერთი ბიჭი გორაკზე დავსვით, ერთი წინ გავუშვით, სამს კი ცხვარი მიუდიოდა. ხელფეხშეკრული მწყემსი, როგორც იქნა, ფეხზე ადგა. მათალია ვერც ფეხები და ვერც ხელები ვერ გაიხსნა, მაგრამ სკუპ-სკუპით, კუს ნაბიჯებით წავიდა სოფლისკენ. სოფელს რომ მიაღწია, იქიდან 30-მდე ცხენოსანი წამოვიდა გორაკისკენ, სადაც ჩვენი ბიჭი დახვდათ. ერთმანეთს როცა შეხვდნენ, მოიკითხეს ცხვარი, ჩვენმა კაცმა უთხრა, რომ ნიალელია და რომელიღაც სოფელში მიდიოდა საქმეზე, გზაზე მომავალმა მართლაც დაინახა ცხვარი, მაგრამ საით წავიდნენ, არ ვიციო, ასევე ისიც უთხრა, რომ საზღვარზე ორი ასეული რუსი დგასო. თათრებმა იფიქრეს, ცხვრის გულისთვის თავს ხომ არ დავახოცინებთო და უკან გაბრუნდნენ, ამასობაში ცხვარი გაჩერდა და აღარ მოგვყვებოდა, მე თიხა ვნახე და კალთაში ჩავიყარე, ვითომ მარილი იყო ძირს დაყრა დავიწყე, ცხვარმა იბღავლა და წამომყვა, ბოლოს საზღვარი გადავიარეთ. უკან დარჩენილი ბიჭიც მოვიდა და მეორე დილით უკვე ერკოტის თავზე დავდექით. თითო ოჯახს ხუთ-ხუთი ცხვარი დავურიგეთ, დანარჩენი ჩვენთვის დავიტოვეთ. ერთხელაც ერთი ზველელი მოგვადგა, დადეშში მიდიოდა და ორი ვედრა თუთა მიჰქონდა. დაუძახეთ, – აქ მოდიო. მოვიდა. ცხენიდან ჩამოვაღებინეთ ვედრები და ცოტა თუთა შევუჭამეთ. ზველელი აბუზღუნდა, სტუმრად მივდივარ და რაღა წავუღოო ჩვენც ავდექით, ერთი შიშაგი დავიჭირეთ, ცხენზე გადაუკიდეთ და გავისტუმრეთ. ზველელი გაკვირვებული წავიდა. ამასობაში თურქებმა ბათუმის საკონსულოში იჩივლეს, რომ ნიალის საზღვრის მონაკვეთიდან ერთი სოფლის ცხვარი ქართველებმა მოიტაცეს და დაგვიბრუნეთო, უშიშროებას საიდანღაც გაეგო და სოფელში მოვიდნენ, გვეგონა დაგვიჭერდნენ, მაგრამ როცა გაიგეს, რომ თათრებს ჩვენი ხარები წაეყვანათ და ჩვენ სამაგიეროდ მათი ცხვარი მოვიტაცეთ, არაფერი თქვეს. ჩვენ ვუთხარით, ხარები დაგვიბრუნონ და ცხვარი წაიყვანონო, მაგრამ არც ხარები დაგვიბრუნეს და არც ცხვარი წაიყვანეს, ბოლოს ზოგი ცხვარი დაგვეხოცა, ზოგიც დავკალით და გავინაწილეთ. ასე დასრულდა ცხვარის ამბავიც.

ჩაიწერა გიორგი ჯვარიძემ

# ახალი წიგნები

**ა (ა) იპ ასპინძის მთავარმა ბიბლიოთეკამ ახლახან მიიღო შემდეგი დასახელების ახალი ლიტერატურა:**

ჯემალ ქარჩხაძე – *მოთხრობები;*

ელიფ შაფაქი – *გამქრალი ხეების კუნძული;*

ელიფ შაფაქი – *ღირსება:*

70 ამბავი – *ცხოვრება საბჭოეთში;*

საქართველო უცხოელთა თვალით – *XV-XVII საუკუნეები;*

ნოდარ მამაცაშვილი – *ყრუთა ქვეყანა;*

ნიკოლოზ ტოტოღაშვილი – *მე არ ვარ ნეონი;*

შოთა იათაშვილი – *დამწყები;*

რეიჩელ ჰოლისი – *კმარა მობოდიშება დაო;*

ბერნარდ ევარისტო – *გოგონა, ქალი და სხვა დანარჩენი;*

ჯორჯ ორეული – *დაე, იშრიალოს ასპიდისტრამ;*

ჯორჯ ორეული – 1984;

მარიო ჰიუზო – *ომერტა;*

თინათინ ბერიძე – *მეორე შანსი;*

თემურ ბაბლუანი – *მზე, მთვარე და პურის ყანა;*

გურამ რჩეულიშვილი – *დღიურები, ჩანაწერები, წერილები;*

მიშელ ობამა – *როგორ გავხდი ის, ვინც ვარ;*

მორის ჰიზერი – *აუშვიცის ტატუისტი;*

ემილ გიფინ – *რაღაც ნათხოვარი;*

ოდრი ნიფენეგერი – *დროში მოგზაურის ცოლი;*

კრისტი კრისტოფერი – *პრესტიჟი;*

კაზიო იშიგურო – *არასდროს გამიშვა;*

ანა მხეიძე – *არჩევანი მე;*

ლუკ ჯენინქსი – *მოკალ ევა;*

თრეილერი – *წიგნი კატალოგი;*

კეროლაინ კეპნესი – *შენ;*

არნალდურ ინდრიდასონი – *ჭაობი;*

გილიან ფლინი – *ბასრი საგნები;*

სამანტა დაუნინგი – *ჩემი მშვენიერი ცოლი;*

აჯ ფინი – *ქალ ი ფანჯარაში;*

ჯოშ მალერმანი – *ჩიტის სახლი;*

ბერნადეტენ პერისი – *დახურულ კარს მიღმა;*

გასაოცარი ქალები (*50 გამორჩეული ქალის ამბავი);*

ალექსანდრე ბელიაევი – *პროფესორ დოუელის თავი;*

ლუკა ბაქანიძე – *სად ხარ ლაზარე;*

ბესო ხვედელიძე – *ქალაქურები (მოთხრობები);*

ლევან მათეიშვილი – *ეკლესიის ისტორია;*

რეზო ჭეიშვილი – *ასკილის წითელი ყვავილი;*

ოტია იოსელიანი – *იყო ერთი ქალი;*

*დღიური შარდენის მოგზაურობისა;*

დიმიტრი სალუქვაძე – *100 მბავი. რუსეთ-საქართველოს ომი;*

150 ამბავი. *ქართველები უცხოელთა თვალით XV-XVIIს.ს.*

60 ამბავი. *უცხოეთში დაკარგული ქართველები;*

100 ამბავი. *თბილისური ჭორ-მართალი;*

126 ამბავი. *კონსტანტინე გამსახურდია;*

100 ამბავი. *დამწერლობა;*

117 ამბავი. *ძველი რომი;*

79 ამბავი. *ზვიად გამსახურდია;*

180 ამბავი. აკაკი წერეთელი;

79 ამბავი. *მერაბ კოსტავა;*

ამბროზ ბირსი – *ეშმაკის ლექსიკონი;*

თომას ვულფი – *მოხედე შენს სახლს ანგელოზო;*

თომას ვულფი – *შინ ვეღარასოდეს დაბრუნდები;*

აგათა კრისტი – *ორ სიყვარულს შორის;*

ელიფ შაფირი – *დაუსრულებელ გატაცებათა ღმერთი;*

შარლოტა ბრონტე – *მასწავლებელი;*

კენ ფოლეტი – *უკუთვლა;*

ჯ.პ. დილენი – *წინამორბედი;*

ალექს მიქაელიდესი – *მდუმარე პაციენტი;*

ელიფ შაფირი – *ათი წუთი და ოცდათვრამეტი წამი;*

გიორგი კეკელიძე – *გურული დღიურები;*

ჯიმ კოლინზი – *კარგიდან საუკეთესომდე;*

ჯორდან ბ. პეტერსონი – *ცხოვრების 12 წამი;*

ოშიგურო კაზუო – *კლარა და მზე;*

დანტე ალიგიერი – *ღვთაებრივი კომედია;*

ტერენტი გრანელი – *ლექსები;*

ლადო ასათიანი – *პოეზია, ჩანაწერები. წერილები;*

ცისფერყანწელები – *ლექსები. წერილები. ჩანაწერები;*

ბუბა კუდავა – *ტაო-კლარჯეთი;*

გურამ დოჩანაშვილი – *სამოსელი პირველი;*

გურამ დოჩანაშვილი – *ხუთტომეული;*

ლაშა გახარია – *100 ლექსი;*

ალექსანდრე აბაშელი – *100 ლექსი;*

ნიკა ხოფერია – *გვიან ანტიკური საქართველოს სამხედრო ისტორია. ტ.I, II;*

გია მურღულია – *საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე;*

ჯ.რ.რ. ტოლკინი – *ბეჭდების მბრძანებელი – ტ.I,II, III.*

*ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო განყოფილება*

**ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა**

რედკოლეგია